2020 წლის 14 დეკემბერს 17:00 საათზე გაიმართება სამეურვეო საბჭოს სხდომა

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებია:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მიერ მ/წ 08 დეკემბერს სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილ სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, საკითხი ეხება კომპანია დისნეისთან კინოსა და ანიმაციის შესყიდვის მიზნით ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემას. ვინაიდან განსახორციელებელი შესყიდვის ღირებულება აღემატება მაუწყებლის ბიუჯეტის ერთ პროცენტს, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 30(1)-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საჭიროებს სამეურვეო საბჭოს თანხმობას;

2. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მიერ მ/წ 09 დეკემბერს სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილ სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, საკითხი ეხება მაუწყებლის შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემას. ვინაიდან განსახორციელებელი შესყიდვის ღირებულება აღემატება მაუწყებლის ბიუჯეტის ერთ პროცენტს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30(1)-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საჭიროებს სამეურვეო საბჭოს თანხმობას;

3. მიმდინარე საკითხები.

სხდომა გაიმართება ონლაინ რეჟიმში